2020-2021 სასწავლო წელს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე კერძო სამართლის მიმართულების მისაღები საგამოცდო კომისიის განმარტება საგამოცდო საკითხებთან და ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით

კომისია შექმნილია თსუ რექტორის 2020 წლის 8 სექტემბრის №168/01-01 ბრძანებით

1. **რა უნდა იცოდეს კონკურსანტმა თემაზე „ხელშეკრულების განმარტება“?**

(ა) ხელშეკრულების განმარტება ისწავლება ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში და როგორც წესი, წარმოადგენს სავალდებულო სასწავლო კურსს. სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, აღნიშნული თემა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

თემა 4. ხელშეკრულების განმარტება

განსახილველი საკითხები: ხელშეკრულების განმარტების სამართლებრივი მნიშვნელობა; ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტება; ურთიერთგამომრიცხავი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამები ხელშეკრულებაში; სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები; შერეული ხელშეკრულებების განმარტების თავისებურებანი.

აღნიშნული საკითხები მოიცავს სამოქალაქო კოდექსის 337-340-ე მუხლებს, სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნაწილის II თავს და ამავე თემატიკითა და სტრუქტურით დამუშავებულია იურიდიულ ლიტერატურაში.

(ბ) ხელშეკრულების განმარტება მისი შინაარსის დადგენის მიზნით ხდება. განმარტების აუცილებლობა დგება მაშინ, როცა საქმე გვაქვს ხელშეკრულების ორაზროვან და ბუნდოვან პირობებთან. ამდენად, ცალსახაა, რომ ხელშეკრულების არსი, სახეები, ფორმა რადიკალურად სხვა საკითხებია, ხოლო ხელშეკრულების განმარტება - სხვა.

(გ) რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, სასამართლო პრაქტიკაც ხელშეკრულების განმარტებას, ბუნებრივია, მიმართავს მაშინ, როდესაც საკითხი ეხება სწორედ ხელშეკრულების პირობათა ბუნდოვანებასა და ორაზროვნებას და არა, ზოგადად, ხელშეკრულების რაობას.

(დ) თუკი ბაკალავრიატის საფეხურზე ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ანდა რომელიმე სხვა სასწავლო კურსის ფარგლებში „ხელშეკრულების განმარტება“

დაფიქსირებული იყო შუალედური ან ფინალური გამოცდის საკითხად, სტუდენტმა მით უფრო კარგად უნდა იცოდეს ეს თემა.

2. შეფასების სისტემა.

სამაგისტრო გამოცდაზე იყო სამი საკითხი - 2 (ორი) თანაბარწონიანი თეორიული საკითხი (30-30 ქულა) და 1 (ერთი) კაზუსი სამოქალაქო სამართლის პროცესში (40 ქულა). სამივე საკითხი შეფასდა ინდივიდუალურად, მიეთითა შეცდომებზე და შეჯამდა ყველა კომპონენტის შეფასება.

3. საგამოცდო ნამუშევრების ხელმისაწვდომობა.

საგამოცდო კომისია მხოლოდ მიესალმებოდა, თუკი სტუდენტი აპელაციამდე გაეცნობოდა საგამოცდო ნაშრომს და ისე გადაწყვეტდა მისი შეფასების გასაჩივრების საკითხს. ამის თაობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან იყო შესაბამისი დროული კომუნიკაციაც.

ნუნუ კვანტალიანი
კერძო სამართლის მიმართულების მისაღები საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე